ხელშეკრულების მოდიფიცირება და მისი სამართლებრივი ასპექტები

მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

აბსტრაქტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ნორმას (398), რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომლებიც აშკარად აისახება მხარეთა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებზე. ბუნებრივია, იგულისხმება ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობა არ გამომდინარეობს არც ერთი მხარის ნებიდან. განსაზღვრული ნორმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, როდესაც ჩვენს ირგვლივ ხდება ისეთი მოვლენები, რომელთა წინასწარ ცოდნა შეუძლებელია. ასეთი გარემოებების არსებობა მძიმე მდგომარეობაში აყენებს ხელშეკრულების მხარეებს, ამიტომ კანონმა უნდა უზრუნველყოს ამ მხარეების დაცვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ასეთი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა უფრო მეტად გამოიკვეთოს შეცვლილი გარემოებებით დაზარალებული პირების დაცვის ტენდენციები. ბოლო წლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავდა ახალი მიდგომები, ახალი სამართლებრივი ნორმები, პრინციპები და სასურველია, საქართველომ ასევე გადახედოს ამ ურთიერთობების რეგულირების ნორმას, იმ თვალსაზრისით, რომ მხარის უფლებები, რომლებიც შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით უფრო დაცული იქნება. აუცილებელია ასეთი მხარე დაცული იყოს გაუთვალისწინებელი არასამართლიანი შედეგებისგან იმ თვალსაზრისით, რომ მას

შეუძლია ხელშეკრულების მორგება შეცვლილ გარემოებებთან, ხოლო ასეთი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

Abstract

Modification of the contract and its legal aspects

Maia Sulkhanishvili, Associated professor

Judge of Tbilisi Court of Appels, Doctor of Law,

Ilia State University

The Civil Code of Georgia contains a norm (398), which provides for the possibility of making amendments to the contract in the event that circumstances have changed after the conclusion of the contract, which have a clear impact on the civil legal relations between the parties. Naturally, this means such circumstances, when the existence of which does not arise from the will of either party. The specified norm acquires special importance at the current stage of society's development, when events occur around us that cannot be foreseen in advance. The existence of such circumstances places a heavy burden on the parties to the contract, therefore the law must ensure the protection of these parties.

As we mentioned above, the Civil Code contains a norm governing such a relationship. However, it should be noted that it is necessary to highlight more the tendencies of the protection of the persons affected by the changed circumstances. In recent years, new approaches have been developed in relation to the mentioned issue, new legal norms, principles and it is desirable that Georgia also revises the regulation norm of this relationship, from the point of view that the rights of the party which, due to the changed circumstances, put a heavy burden on the fulfillment of the agreement will be more ensured. It is necessary for such a party to be protected from unforeseen unfair consequences in the sense that he can adapt the contract

to the changed circumstances, and in case of failure to achieve such a result, the contract must be terminated.

ხელშეკრულების დადება თავისთავად გამომდინარეობს მხარეთა ნებიდან და მისი შესრულებაც როგორც წესი, ხდება ნებაყოფლობით. ხელშეკრულების შესრულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. *Pacta sunt servanda,* მასზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი კეთილდღეობის არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი უპირობო გარანტს. ვინაიდან, ხელშეკრულება გამოხატავს მხარეთა ნებას იგი ძირითადად სრულდება ნებაყოფლობით. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება არ სრულდება, ან ვერ სრულდება სხვადასხვა გარემოებათა გამო ან სრულდება შეთანხმებაში გათვალისწინებული პირობების შეუსაბამოდ. აღნიშნულს უმეტესად განაპიროებებს მოვალს არაკეთილსინდისიერება და მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოებების უგულვებელყოფა.იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მხარის არაკეთილსინდისიერებით მოქმედებას იწყებს კანონით გათვალისწინებული და ხელშეკრულებიდან გამომდინარე იძულების მექანიზმები. მათ შორის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები სრულდება სახელმწიფო მექანიზმების ჩარევითაც. მაგრამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზი შეიძლება გახდეს გარემოებები, რომლებიც საერთოდ არანაირ კავშირში არ არიან კრედიტორის ან მოვალის პიროვნებასთანდა მიუხედავად ამისა, ისისნი ზემოქმედებენ მხარეთა შორის ურთიერთობებზე და სერიოზულ ზემოქმედებას ახდენენ მათზე.

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ ეტაპებზე ხშირად ადგილი აქვს ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამორიცხავენ ხელშეკრულებათა შესრულებას საერთოდ ან ისეთი სახით, როგორც ამას მხარეები ხელშეკრულებაში ითვალისწინებდნენ. ამ დროს სახეზეა მხარის ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებები,

რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანთა ცხოვრების წესზე და ბუნებრივია, ცვლიან მათ შორის არსებულ ურთიერთობებსაც.

აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანად შეცვალა არაერთი ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური მდგომარეობაც. ამის მაგალითია თუნდაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რომელსაც მოყვა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. სულ ცოტა ხნის წინ კი მთელი მსოფლიო მოიცვა კოვიდ 19 -ით გამოწვეულმა პანდემიამ. დღეისათვის კი დღის წესრიგში რუსეთ-უკრაინის ომია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვლა არაერთი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ნიშნულები და ა.შ. მსგავსი მოვლენები, ცვლის არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, არამედ იგი პირდაპირ აისახება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე, მათ შორის არსებულ ურთიერთობებზე. ასეთ დროს მიმდინარე მოვლენები არათუ არ გამომდინარეობენ ცალკეული ჩვენგანის ნებასურვილიდან, არამედ ეწინააღმდეგებიან ჩვენს განწყობილებებს. ადამიანები დგებიან ფაქტის წინაშე, როცა მათ არ აქვთ შესაძლებლობა მართონ მათ გარშემო არსებული მოვლენები, შესაბამისად, ისინი ხდებიან უუნარონი შეასრულონ მათზე დაკისრებული ამათუიმ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი გარემოებები განაპიროებებენ ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობის შეცვლას, შესაბამისად, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების მოდიფიკაციას. როგორია ამ გარემოებების ზემოქმედება ხელშეკრულების მიმდინარეობაზე და რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული თითოეული კონკრეტული შემთხვევის დროს. მსგავსი საკითხების კვლევა მეტად მნიშვნელოვანია მიმდინარე ეტაპზე, რადგან გარემო პირობების გათვალისწინებით უფრო ხშირად დგება ხელშეკრულების შეცვლის საკითხი.

ხელშეკრულების მოდიფიცირების საკითხი ყოველთვის იწვევდა ინტერესს როგორც მეცნიერთა, ასევე, პრაქტიკოს იურისტთა შორისაც. აღნიშული საკითხი მეტადმნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა შორისაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით

მიდგომები არაერთგვაროვანია. ევროპის ბევრ ქვეყანაში *Pacta sunt servanda*წარმოდგენდა უპირატესს პრინციპს და მისი შეზღუდვის ნებისმიერი ფორმა დაუშვებელი იყო. დაუშვებელი იყო მოვალის გათავისუფლება ვალდებულების შესრულებისაგან, ასევე, უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საკითხთან დაკავშირებითაც.აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ინგლისის სასამართლო პრაქტიკა. ინგლისურ სასამართლოებს ტრადიციულად არ აქვთ იმის უფლება, რომ შეცვალონ ხელშეკრულების პირობები, თუნდაც ხელშეკრულების შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში. მცდელობები ამ ხისტი პოზიციის უფრო მოქნილი ინტერპრეტაციისთვის უშედეგოდ დამთავრდა ინგლისის უმაღლესი სასამართლო ორგანო - ლორდთა პალატის მხრიდან წინააღმდეგობის გამო. შეთანხმების მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში ხელშეკრულება ყოველთვის მთავრდება და სასამართლოებს არ აქვთ უფლება შეცვალონ მხარეთა უფლებები დამოვალეობები, გარდა რესტიტუციის მიზნებისა[1].

იგივე მიდგომები არსებობდა საფრანგეთშიც. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი საუკუნეების განმავლობაში არ შეიცავდა კონკრეტულ წესებს ან მითითებებს იმ

შემთხვევებისათვის, როდესაც ხელშეკრულების შესრულება რთულდება სხვადსხვა გარემობათა ცვლილებების გამო. საფრანგეთის სასამართლოები განთქმული იყო უკიდურესად მკაცრი დამოკიდებულებით *pacta sunt servanda-ს* დაცვის მიმართ. იურისტები მიიჩნევდნენ, რომ საფრანგეთის უზენაესი სასამართლო რჩებოდა ერთგული თავის კლასიკურ მიდგომაზე - ვალდებულების შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, როდესაც ასეთი შესრულება შეუძლებელი ხდებოდა გაუთვალისწინებელი, გარდაუვალი და უკონტროლო მოვლენების (ომი, სტიქიურიუბედურება, ემბარგო, გაფიცვები, არეულობები,სისხლის სამართლის დანაშაული და ა.შ) გამო. სხვა დანარჩენ შემთხვევებში სასამართლოს დამოკიდებულება ყოველთვის იხრებოდა ხელშეკრულების შესრულებისაკენ[1].

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში მეტად ცნობილია საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს პოზიცია *Canal de Craponene* საქმეზე. ეს არის სასმართლოს პოზიციის კლასიკური მაგალითი .ამ შემთხვევაში მხარეებმა 1567 წელს გააფორმეს ხელშეკრულება ბაღის სარწყავით მომსახურების შესახებ.კონტრაქტი ძალაში იყო 300 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.წლების შემდგომ სარწყავი სერვისების ფიქსირებული გადასახადი თანდათანობით გახდა აბსოლუტურად არაადეკვატური და ვერ ფარავდა მიმწოდებლის მიერ დახარჯული ხარჯებს სარწყავი არხების მოვლაზე.სააპელაციო სასამართლომ გადასახადი შეცვალა შეცვლილი ეკონომიკურგარემოებების გათვალისწინებით.კერძოდ, გაზარდა მისი ოდენობა. თუმცა, 1876 წელს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიდგომა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლზე მითითებით და უცვლელად დატოვა არსებული გადასახადის ოდენობა[1].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული იურიდიული დოქტრინა მხარს უჭერდა კონტრაქტების გადახედვას იმპროვიზირების კუთხით.ამ თვალსაზრისით გესტინმა და სხვა ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აუცილებელია კანონმა აღიაროს ზოგიერთი

გამონაკლისიაბსოლუტური*pacta sunt servanda* პრინციპიდან, რადგან ხელშეკრულების სოციალური ეფექტურობა ხშირ შემთხვევებში მოითხოვს შეთანხმების გადასინჯვის ან შეწყვეტის შესაძლებლობას შეზღუდულ შემთხვევებში, როდესაც სერიოზული უსამართლობა ზღვარს სცილდება და არსებობს დისბალანსი საპირისპირო ვალდებულებებს შორის.[4]

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ხელშეკრულების უპირობო შესრულების დამოკიდებულება შეცვლილია. 2016 წელს განხორციელდა სამართლებრივი რეფორმა და გადაისინჯა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. მოქმედი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს მნიშვნელოვან სიახლეს 1195-ე მუხლის სახით, სადაც საუბარია ხელშეკრულების გადასინჯვის შესაძლებლობებზე განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუგარემოებებისცვლილება, რომელიც გაუთვალისწინებელი იყო ხელშეკრულების დადების დროს, აიძულებს

შეასრულოს ზედმეტად მძიმე ვალდებულება მხარეს, რომელიც არ დათანხმდებოდა ამგვარი ცვლილების რისკის აღებას, ამ მხარეს შეუძლია მეორე ხელშემკვრელ მხარეს სთხოვოს ხელშეკრულების პირობების თაობაზე ხელახალი მოლაპარაკება. მან უნდა განაგრძოს თავისი ვალდებულებების შესრულება ხელახალი მოლაპარაკების დროს. ამავე ნორმის თანახმად, თუ ხელახალი მოლაპარაკება ვერ მოხერხდა, მხარეებს შეუძლიათ ერთობლივი შეთანხმებით გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაუქმება იმ ვადაში და იმ პირობების დაცვით, რომლებსაც ისინი განსაზღვრავენ, ან სთხოვონ სასამართლოს ხელშეკრულების ადაპტაცირების დაწყება. თუ ისინი ვერ მიაღწევენ შეთანხმებას გონივრულ ვადაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს გადახედოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, იმ დღიდან და იმ პირობებით, რომლებსაც იგი განსაზღვრავს[3].

როგორც საფრანგეთის კოდექსში განხორციელებული ცვლილებიდან იკვეთება, ახალმა 1195-ე მუხლმა დაუშვა ხელშეკრულების გადასინჯვის შესაძლებლობა, რომლის რეალიზაციაც დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები იმდენად შეიცვალა, რომ იგი ზედმეტად მძიმე ვალდებულებას წარმოშობს მოვალისათვის. მხარეეს მიეცათ შესაძლებლობა აღმოეფხვრათ გარემო ფაქტორების ზეგავლენით შექმნილი დისბალანსი და მხარეთა ურთიერთობა გაეგრძელებინათ ორივე მხარის ინტერესების დაბალანსებით.

მათ ასევე უფლება მიეცათ ამ მოთხოვნით მიმართონ სასამართლოსაც. მათ ასევე მიეცათ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება.

რაც შეეხება იტალიას, ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ 1942 წლიდან გამოიკვეთა დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში. ამ პერიოდისათვის *pacta sunt servanda* პრინციპის მოუქნელობა შერბილდა სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების შესრულებისგან გათავისუფლების შემოღებით *eccessiva onerosità sopravvenuta-l*შემთხვევაში , ანუ იმ შემთხვევებში, როდესაც, თუმცა შესაძლებელი იყო, ხელშეკრულების შესრულება, მაგრამ იგი მოითხოვდა ძლიერ ფინანსურ მსხვერპლს ერთ-ერთი მხარისგან. მართლაც, იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1467-

ემუხლისთანახმად, „...თუ უჩვეულო დაგაუთვალისწინებელი მოვლენებიერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულებას ზედმეტად ამძიმებს, მხარეს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს ასეთი შესრულება, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა''[5] თუმცა იმავე მუხლში მითითებულია რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც მოითხოვება ხელშეკრულების მოშლა, შეუძლია თავიდან აიცილოს ეს ხელშეკრულების პირობების სამართლიანი ცვლილების შეთავაზებით[4]

მსგავს რეგულაციებს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. ცნობილია ე.წგერმანული კონცეფცია *Wegfall der Geschäftsgrundlag-ob*. ამ თეორიის თანახმად, როდესაც გარემოებები რადიკალურად შეიცვალა, გარიგების საფუძველი განადგურდა და მხარეები აღარ არიან ვალდებულნი თავიანთი თავდაპირველი სახელშეკრულებო ვალდებულებებით. ამ ახალ გარემოებებში, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულება წარმოადგენს უაზრობას. ამდენად, მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება მოარგოს ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს და შეუძლია განიხილოს ვადაზე ადრე შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ხელშეკრულების სიცოცხლის უნარიანობის წანაპირობებ. *Wegfall der Geschäftsgrundlage-* ის დოქტრინის საფუძველი მომდინარეობს 242 BGB პუნქტიდან, რომელიც მოითხოვს, რომ ხელშეკრულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად [4].

ხელშეკრულების შეცვლილი გარემობისადმი მისადაგების თაობაზე დებულებები ასახულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე პარაგრაფში, რომლის შინაარსი ფაქტობრივად იდენტურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა. იან კროპჰოლერის განმარტებით, აქ მოიაზრებაისეთი შემთხვევები, რომლის დროსაც შესრულებასა და საპირისპირო შესრულების ღირებულებათა თანაფარდობა გაუთვალისწინებელ გარემოებათა ზეგავლენით მნიშვნელოვნად ირღვევა[5].

რა თქმა უნდა, შეცვლილი გარემოებები გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ ურთიერთობებზე არამედ იგი მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია, რომლის 79-ე მუხლის თანახმად, მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტრლს არ ექვემდებარებოდა და რომ არაგონივრული იყო მისგან ამ დაბრკოლების გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს ან ამ დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან გადალახვა [6]. როგორც აღნიშნული ნორმატიული აქტიდან ირკვევა, ხელშეკრულების ხელსშემკვრელ მხარეს არ მოეთხოვება უპირობოდ ხელშეკრულების შესრულება, პირიქით, იგი შეიძლება გათავისუფლდეს კიდეც ვალდებულებისაგან თუ მისგან დამოუკიდებელი გარემოებათა გამო შეეშალა ხელი შერულებაში. აღნიშნული ნორმიდან ცალსახად იკვეთება ის გარემოება, რომ შეუძლებელია კონტროლს მიღმა დატოვება იმ გარემოებებისა, როდესაც ხელშეკრულება არ სრულდება მხარის ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო. მითითებულ შემთვევაში საუბარია მხარის მთლიანად გათავისუფლებაზე ვალდებულების შესრულებისაგან [7].

მეტად საინტერესო მიდგომებს შეიცავს ამ საკითხთან მიმართებაში 1994 წელს გამოქვეყნებული საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებათა პრინციპები, რომელიც შემუშავებულია Unidroit-ის მიერ (კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი) . აღნიშნული პრინციპები გამოხატავს დღეისათვის ამ საკითხთან დაკავშირებითარსებულ ტენდენციებსა და დამოკიდებულებებს. პრინციპების 6.2.3. პუნქტის თანახმად, შეცვლილი გარემოებების დროს მხარე უფლებამოსილია მოითხოვის ხელახალი მოლაპარაკება. მოთხოვნა თავისთავად არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს. შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო ან შეწყვეტს და ან მიუსადაგებს შეცვლილ გარემოებებს ხელშეკრულებას. Unidroit-ისპრინციპების 6.2.2 მუხლი ადგენს გარემოებებს, რომ ისინი უნდა იყოს „დაუცველი მხარის კონტროლის მიღმა,ეს უნდა

მოხდეს ან ცნობილი გახდეს არახელსაყრელი მხარისთვის ხელშეკრულების დადების შემდეგ და არ შეიძლებოდა გონივრულად ყოფილიყო გათვალისწინებული იმ დროს;

ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტების, და სამართლებრივი პრინციპების ანალიზი ცხადყოფს, რომ შეცვლილი გარემოებები ტვირთად არ შეიძლება დააწვეს ხელშეკრულების ხელშემკვრელ რომელიმე მხარეს. დაუშვებელია,ნებისმიერი პირი აიძულო შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც მიუხედავად მისი კეთილსინდისიერებისა, შეუძლებელია შესრულდეს მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო. ასეთი შესრულება იწვევს უსამართლოდ მძიმე შედეგს მეორე მხარისათვის. და იგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ბუნებრივია, კანონი იცავს სამოქალაქო ურთიერთობის ყველა მონაწილეს. შესაბამისად, მისი დაცვის საგანი აუცილებლად უნდა იყოს ის მხარე, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს მის მოვალეობას, მაგრამ მისი ყველა მცდელობა უშედეგოა ობიექტურ მიზეზთა გამო.

უპირველედ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომსაქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარე მთლიანად თავისუფლდება ხელშეკრულების შესრულებისაგან. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

აღნიშნულ ნორმაში საუბარია დაუძლეველ ძალაზე, რაც თავისთავად გამორიცხავს მხარის რაიმე სახით მონაწილეობას ნორმით გათვალისწინებული შედეგის დადგომაში. მსგავს შემთხვევაში კანონი ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 407-ე მუხლიც, სადაც ასევე საუბარია, მხარის ბრალის

გარეშე ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვაზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.ეს წესი არ გამოიყენება, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.ამ შემთხვევაშიც თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი დადგა მხარის ნებისაგან დამოუკიდებლად, იგი გათავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან.

ზემოთ მოყვანილ სამართლის ნორმებში მითითებულია გარემოებები, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის დამოკიდებული მხარეთა მოქმედებაზე, მათ ნებასურვილზე. 399-ე მუხლში საუბარია დაუძლეველ ძალაზე, 407-ე მუხლში მხარის ბრალელულობის არარსებობაზე. ანუ მხარის ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობა შესაძლებელია გახდეს ხელშეკრულების შერულებაზე უარის თქმის საფუძველი.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მხარისაგან დამოუკიდებელი ფაქტორების არსებობა განაპირობებს არა ხელშეკრულების შესრულების დამთავრებას, არამედ მის მოდიფიცირებას. აღნიშნულის მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ისგარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ანდა დებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე

მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ზემოთ მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარისაგან დამოუკიდებელი გარემოებების ხელშეკრულების შესრულებაზე ზემოქმედების პირობებში ყველა შემთხვევაში არ ხდება ხელშეკრულების ხელშემკვრელ მხარის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, არამედ ხდება არსებული გარემოებების მისადაგება ხელშეკრულების პირობებთან. ამ დროს მხარეს არ მოეთხოვება ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. მან შეიძლება მოითხოვოს შეთანხმების გადასინჯვა და მისი იმგვარად ჩამოყალიბება, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მხარეთათვის მისაღები ფორმით წარმართვა.

ამ თვალსაზრისით მეტად იმნიშვნელოვანია, იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რომელი გარემოებები შეიძლება განიხილებოდეს ხელშეკრულების მოდიფიცირების საფუძვლად. პროფ. ზ.ახვლედიანი ასეთად განიხილავს შემთხვევებს, როდესაც გართულებულიახელშეკრულების შესრულება და თუ ის მაინც შესრულდება მძიმე ეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარისათვის იმ მიზეზით, რომ არსებითად შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიდანაც მხარეები გამოდიოდნენხელშეკრულების დადებისას. მსგავს გარემოებებად ავტორი განიხილავს საქონელზე ფასების მკვეთრ შეცვლას, შრომის ანაზღაურებს მკვეთრ მერყეობას, სახელმწიფოს მიერ გაუთვალისწინებელი გადასახადების შემოღებას და ა.შ. მისივე განმარტებით, გარემოებათა შეცვლა არ არის დაუძლეველი ძალა, რადგან ის არ იწვევს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას საერთოდ. ხელშეკრულების შესრულება შეიძლება, მაგრამ ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაირღვევა მხარეთა ინტერესები [8].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა ის გარემოება, რომ მოცემული ნორმის ფუნქცია იმ კეთილსინდისიერი მხარის დაცვაა, რომელსაც მისგან დამოუკიდებელი გარემოებათა ზეგავლენით უსამართლოდ მძიმე ტვირთად დააწვა ხელშეკრულების შესრულება. ასეთ მხარეს კანონი აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებისადმი. კანონი არ აკონკრეტებს,

თუ ვინ შეიძლება იყოს ამ მოთხოვნის ადრესატი. თუმცა ლოგიკურად მეტად მარტივია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვისაც შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების პირობები - ეს იქნება ხელშეკრულების მეორე მხარე თუ სასამართლო.

განსხვავებით იტალიის, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა შედეგები მოყვება იმ შემთხვევებს, თუ შეცვლილ გარემოებებს ვერ შეუსაბამებენ ხელშეკრულებას. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ მიუთითებს იმის თაობაზე, რომ მხარეს ასეთ შემთხვევაშიარ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ზუსტად შესრულება. რაც გულისხმობს იმას, რომ ფაქტობრივად მხარემ მაინც უნდა გააგრძელოს ხელშეკრულების შესრულება და რთულია იმის გარკვევა, ჩაითვლება თუ არა მისი შესრულება შეუცვლელი ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებული სახით დაცვად.

ზემოთ მითითებული ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებიასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტასაც სამწუხაროა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეუძლებელია დადგეს მსგავსი შედეგი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არაერთხელ შეიქმნა ისეთი გარემოებები, რომლებიც პირდაპირ აისახა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებზე. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. მას შედეგად მოყვა ინფლაცია, უმუშევრობა და ა.შ. გასულ წლებში

მიმდინარე პანდემიამაც მეტად დაამძიმა საქართველოში არსებული ვითარება და ამ გარემოებათა გამო გაუთვალიწინებელი რეალობის წინაშე დააყენა საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომლებიც სარგებლობდნენ საბანკო კრედიტებით. ბუნებრივია, ზემოთ მითითებული გარემოებების შედეგად მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების რეგულირება უნდა ხდებოდეს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა მოხდა საპირიპირო ფაქტებიც. იყო შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებათა გადასინχვა მოხდა არა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე გარემოებების გათვალისწინებით

და ხელშეკრულების პირობების შემსუბუქებით, არამედ საპროცენტო განაკვეთის მომატების კუთხით, რაც მხარეებს აიძულებდა შეესრულებინათ კაბალური ხელშეკრულებები. უნდა ითქვას, რომ მსგავსი პრაქტიკა სრულიად ეწინააღმდეგება კანონს. ასევე, გაუმართლებელია აპელირება იმ საკითხზეც, რომ ეს პირობა მხარეთა მიერ წინასწარ იყო ჩადებული ხელშეკრულების პირობად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების პირობად დათქმა პროცენტის ზრდისა, არ არის შესაბამისი კანონსი მოთხოვნებისა. ბუნებროვია, კრედიტის გამცემი სესხზე პროცენტის ზრდას ხელშეკრულებით ითვალისწინებს იმ შემთხვევებში, როდესაც იცვლება ის გარემოებები, რა გარემოებებშიც მოუწიათ მხარეებს ხელშეკრულების დადება. ასეთ დროს კი მხარეებმა უნდა იმოქმედონ კანონის შესაბამისად, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების ადაპტაციას სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროცენტის ზრდის დათქმა, რომც გამომდინარეობდეს კანონის მოთხოვნებიდან შეცვლილი გარემოებების არსებობისას მითითებული ნორმა იძლევა შესაძლებლობას გადაისინჯოს ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა, იმგვარად, რომ მოხდეს ხელშეკრულების მხარეთა ინ ტვირთის შემსუბუქება, რაც განაპირობა შექმნილმა მძიმე ვითარებამ. შეუძლებელია კანონმა დაიცვას რომელიმე მხარის ინტერესი უპირატესად. იგი იცავს ნებისიერ მათგანს იმ მძიმე მდგომარეობისაგან, რომელშიც აღმოჩნდა მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ისევე როგორც ევროპის უმეტესი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებიც არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მხარის ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო დღის წესრიგში დგება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების ადაპტაციის აუცილებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდესი ანიჭებს უფლებას ხელშეკრულების მხარეებს მოითხოვონ ხელშეკრულების პიროებების გადასინჯვა და მისი ახალი სახით ჩამოყალიბება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ მოხდეს მისადაგების შეუძლებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა. მსგავსი

შესაძლებლობის მინიჭება ხელშეკრულების მხარისათვის იქნებოდა კიდევ ერთი გზა იმ მხარის დასახმარებლად, რომელსაც შეექმნა რთული ვითარება.

გარდ ზემოთ აღნიშნულისა, აუცილებელია გადაიხედოს საბანკო პოლიტიკაც და ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო გამოიკვეთოს და გამკაცრდეს იმ სუბიექტთა პასუხისმგებლობა, რომელთა გამო ხდება ხელშეკრულების კონტრაჰენტების მდგომარეობის დამძიმება და მათ ხარჯზე საკუთარი სტაბილურობის უზრუნველყოფა . ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესო იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გადასინჯვა და ამ ნორმაში კიდევ უფრო მეტი სიცხადის შეტანა, როგორც ეს მოცემულია Unidroit-ისპრინციპებში. ამ თვალსაზრისით მეტი დაცულობა იქნებოდა გარანტირებული შეცვლილი გარემოებების გამო რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი მხარეებისათვის, მითუმეტეს რომ მსგავს გარემოებათა არსებობის ალბათობა არათუ კლებულებს, არამედ ყოველდღიურად მატულობს კიდეც.

ლიტერატურა

1. Baranauskas E, Zapolskis p, Romeris M, The effect of change in circumstanceson the performance of contract,Vilnius, Lithuania, 2009.
2. Momberg Uribe RA. *The effect of a change of circumstances on the binding force of contracts: comparative perspectives* (Doctoral dissertation).2011.
3. French Civil Code2016|Trans-Lex.org,https//www.trans-lex.org
4. *Zaccaria EC. The effects of changed circumstances in International Commercial Trade. Int'l Trade & Bus. L. Rev.. 2005;9:135.*
5. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სააწავლო კომენტარი, მუხლი 1228, 2014 წ, გვ216
6. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია, 79-ე მუხლი, 01.09.1995 სარეგისტრაციო კოდი 480610000.03.030.016619
7. Principles UN. UNIDROIT principles of international commercial contracts. 2016.

8. *ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა ,,სამართალი“ თბილისი, 1999.*